ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1394243

ნომერი: AR1236330

თარიღი : 10.07.2014

გაცემის თარიღი : 08.08.2014

გაცნობის თარიღი : 08.08.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნავთისხევისა და საქარხნო რაიონის კავშირგაბმულობის სამინისტროს, საწარმოს შორის არსებული ტერიტორია, (ნაკვ. 01/078) ;
;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კონსტანტინე ლაბაძე პ/ნ 01001001276
- თბილისი ს.ზალდასტანიშვილის შეს. N 10

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : წყლის აუზი

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მისი ოფიციალური საიტის www.tas.ge მეშვეობით წარმოდგენილი #AR1236330 განცხადებით მომართა შპს „ლევიკა“–ს დირექტორმა კონსტანტინე ლაბაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, სამგორში, ნავთისხევისა და საქარხნო რაიონის კავშირგაბმულობის სამინისტროს, საწარმოს შორის არსებულ ტერიტორიაზე #01.19.30.001.099 მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული აუზის ლეგალიზება, „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვისგამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და

პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილებისლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებულიწესის თანახმად.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების თანახმად, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები, შეისწავლა ზემოხსენებული განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგი გარემოების გამო:

როგორც #AR1236330 განცხადებით წარმოდგენილი ობიექტის ამსახველი ფოტოსურათებით ირკვევა სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ობიექტი არის დაუსრულებელი და შესაბამისად მისი ლეგალიზება ეწინააღმდეგება „პროექტის შემთანხმებელიდა მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევითაშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებგადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის ერთ–ერთ უმთავრეს მოთხოვნას, რომელიც ასახულია ზემოხსენებული ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე–2 პუნქტში და ჟღერს შემდეგნაირად, წესის მოქმედება ვრცელდება 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტებისა ან მათი ნაწილების მიმართ ანუ ობიექტის ლეგალიზებისათვის ერთ–ერთ უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენს, რომ ობიექტის მშენებლობა აუცილებლად დასრულებული უნდა იყოს 2007 წლის 1 იანვრამდე ე.ი. ობიექტს საბოლოო იერსახე მიღებული უნდა ჰქონდეს 2007 წლის 1 იანვრამდე.

„პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვისგამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევითაშენებული ობიექტების ან მათი ნაწილებისლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისწესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებულიწესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისთანახმად, შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტისან მისი ნაწილის ლეგალიზებისშესახებ იმ შემთხვევაში, თუიგი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს(გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მოთხოვნებისა). ამავემუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისინაწილის ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ, თუ იგი ეწინააღმდეგებასაქართველოს კანონმდებლობისმოთხოვნებს“ (გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობებისშესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მოთხოვნებისა). საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილისთანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნებისსაწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, შესაბამისად სამსახური ვერმიიღებს საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ საქართველოს კანონმდებლობაში შემავალისაქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებულიწესის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ობიექტის მშენებლობა არ დასრულებულა 2007 წლის 1 იანვრამდე ანუ საბოლოო იერსახე არ მიუღია 2007 წლის 1 იანვრამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს შპს „ლევიკა“–ს დირექტორის კონსტანტინე ლაბაძის #AR1236330 განცხადება და მოახდინოს ქ. თბილისში, სამგორში, ნავთისხევისა და საქარხნო რაიონის კავშირგაბმულობის სამინისტროს, საწარმოს შორის არსებულ ტერიტორიაზე #01.19.30.001.099 მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული აუზის ლეგალიზება.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

## ვბრძანებ

_____ არ დაკმაყოფილდეს შპს „ლევიკა“–ს დირექტორის კონსტანტინე ლაბაძის #AR1236330 განცხადება.
_____ უარი ეთქვას შპს „ლევიკა“–ს დირექტორს კონსტანტინე ლაბაძეს ქ. თბილისში, სამგორში, ნავთისხევისა და საქარხნო რაიონის კავშირგაბმულობის სამინისტროს, საწარმოს შორის არსებულ ტერიტორიაზე #01.19.30.001.099 მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული აუზის ლეგალიზებაზე.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.